ინფორმაცია

კასპის მუნიციპალიტეტში სოფ. კოდისწყაროში მეორადი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

№	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	• მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	2020 წლის 11 ოქტომბერს ტელეკომპანია მთავარის ეთერში გავიდა სიუჟეტი „აქცია საოკუპაციო ხაზთან - მოსახლეობა ფეთქებადსაშიში მასალის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობას აპროტესტებს“. სიუჟეტიდან ირკვევა, რომ კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოდისწყაროში უკვე ორი თვეა მიმდინარეობს მეორადი ზეთების გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა. სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, კი სამინისტრო ჯერ კიდევ გადაწყვეტილების მიღებისთვის - ანუ, საწარმოს მოწყობა კანონის დარღვევით არის დაწყებული. სამინისტროს ვებგვერდზე ინფორმაციიდანვე ირკვევა, რომ 2020 წლის 25 სექტემბერს, კასპის მუნიციპალიტეტის, სოფ. კოდისწყაროს საჯარო სკოლის ეზოში შედგა შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მეორადი ზეთის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვა. სიუჟეტიდან კი ნათელია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ არ მიუღიათ ინფორმაცია. განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ თუ კი საჯარო განხილვა მართლაც ჩატარდა, განხილვაზე	2020 წლის 25 სექტემბერს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოდისწყაროს საჯარო სკოლის შენობის ეზოში აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გაიმართა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კასპის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი სოფ. კოდისწყაროში, საკონსულტაციო ორგანიზაცია შპს „BS Group“-ის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. აღსანიშნავია, რომ საჯარო განხილვის შესახებ საზოგადოება ინფორმირებული იყო, რაც აგრეთვე აღნიშნა დამსწრე საზოგადოებამ, თუმცა დაამატეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი დასაქმებულია ქ. თბილისში და სამუშაო პერიოდის გამო მათმა ნაწილმა ვერ მოახერხა საჯარო განხილვაზე დასწრება. გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, კერძოდ საჯარო განხილვის ჩატარების დღეს, გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის გარემოსდაცვითი შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი იმყოფებოდა საპროექტო საწარმოს ტერიტორიაზე, სადაც აგრეთვე იმყოფებოდა საქმიანობის განმახორციელებელი. საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შედეგად იმ

		ჩასულმა სამინისტროს თანამშრომლებმა კვლავ ვერ შეამჩნიეს, რომ საწარმოს მოწყობა დაწყებულია, ხოლო სამინისტრო აგრძელებს ადმინისტრაციულ წარმოებას დაგეგმილ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.	დროისთვის მიმდინარეობდა საპროექტო ტერიტორიის შემოღობვა და არსებული შენობის რეკონსტრუქციის ფარგლებში გამაგრებითი სამუშაოები. საპროექტო საწარმოს ტერიტორიაზე საწარმოსთვის განკუთვნილი ტექნიკა და დანადგარები არ იყო მოწყობილი საპროექტო საწარმოს ტერიტორიაზე და ამ მიმართულებით რაიმე საქმიანობა არ ყოფილა დაწყებული. ამასთან, შემდგომი რეაგირების მიზნით ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ და სოფ. კოდისწყაროს მოსახლეობის ერთობლივი წერილი სამინისტროს მიერ გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში და მათ მიერ წარმოდგენილი ინსპექტირების მასალების თანახმად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის მთელ პერიმეტრზე ჩატარებულია ტერიტორიის შემოსაღობად საჭირო სამუშაოები, ასევე ტერიტორიაზე არსებულ ძველ შენობა-ნაგებობაზე ჩატარებულია რეკონსტრუქციის სამუშაოები და გადახურულია თუნუქის გოფრირებული ფურცლებით. ინსპექტირების პროცესში შენობა იყო ცარიელი. ამასთან, ტერიტორიაზე მიმდინარეობდა დამხმარე შენობის სამშენებლო სამუშაოები, ასევე ადრე არსებული შენობის დაზიანებული კედლების აღდგენა-ამოშენება. ინსპექტირების ეტაპზე, შენობის მიმდებარედ დაფიქსირდა საშუალოდ 75 $მ^3$ მოცულობის ფუჭი ქანები, რომელიც ამოღებული იქნა შენობის სარდაფიდან. აგრეთვე განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მიერ განხორციელდა 82 $მ^3$ მოცულობის სხვადასხვა სამშენებლო ნარჩენების ტერიტორიაზე დაყრა. ასევე, ტერიტორიაზე განხორციელებული მოსწორებითი სამუშაოების ჩატარებისას 417,5 $მ^2$ ფართობზე მოხდა ფუჭი ქანების და ნიადაგის ნაყოფიერი

			ფენის ერთმანეთში არევა, რამაც გამოიწვია ნიადაგის დეგრადაცია. გამოვლენილ დარღვევებზე, ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად, შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მიმართ შედგა № 062510 და № 062511 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები. მასალები განსახილველად გადაიგზავნება შესაბამის უფლებამოსილ სასამართლოში. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელებასთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში გრძელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირების ზომები. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ სასამართლოს. თუმცა გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამუშაოების ან საქმიანობის დაწყების შემთხვევაში, კოდექსი არ ითვალისწინებს განსხვავებულ პროცედურას.

2	• კასპის მუნიციპალიტეტის, სოფ. კოდისწყაროს მოსახლეობის წერილი	სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის გარეშე.	შემდგომი რეაგირების მიზნით განცხადება გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში, ინსპექტირების შედეგად, ტერიტორიაზე განხორციელებული მოსწორებითი სამუშაოების ჩატარებისას 417,5 $მ^2$ ფართობზე მოხდა ფუჭი ქანების და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ერთმანეთში არევა, რამაც გამოიწვია ნიადაგის დეგრადაცია. გამოვლენილ დარღვევებზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების საფუძველზე შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები. მასალები განსახილველად გადაიგზავნება შესაბამის უფლებამოსილ სასამართლოში.
3	• კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კოდისწყაროში მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი განცხადება	მიწის ნაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნული წარმოებისთვის წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და მასზე დაუშვებელია ასეთი ტიპის შენობა-ნაგებობების მშენებლობა	გაცნობებთ, რომ სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული ტერიტორიები (საკადასტრო კოდით 67.02.42.385; 67.02.42.391; 67.02.42.393), რომელიც შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ საკუთრებაშია წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს

4	• კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კოდისწყაროში მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი განცხადება	აღნიშნული საპროექტო საწარმოს ფუნქციონირება დაგეგმილია ჩვენი საცხოვრებელი სახლების უშუალო სიახლოვეს (38 მ) და საფრთხეს შეუქმნის ჩვენი, ადგილობრივი მცხოვრებლების ჯანმრთელობას.	საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ზემოქმედება შეფასებულია და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ანგარიში შესრულებულია უახლოესი მოსახლის (38მ) გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილ დოკუმენტებში შეფასებულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით. საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ნახშირწყალბადები, აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად და გაანგარიშების შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას უახლოეს მოსახლესთან (38 მ). შესაბამისად, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევებად. ასევე გაცნობებთ, რომ საწარმოში გამოყენებული იქნება МУОМ-70 ტექნოლოგიური დანადგარი, რომელიც წარმოადგენს გერმანული ტექნოლოგიით დამზადებულ რუსული წარმოების დანადგარს. აღნიშნული დანადგარი მუშაობს ელექტროენერგიაზე და ხასიათდება ატმოსფერულ ჰაერში ემისიების მცირე რაოდენობის გამოყოფით. ამასთან საქმიანობის განმახორციელებელმა

			ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მონიტორინგის განხორციელება უნდა უზრუნველყოს უახლოეს მოსახლესთან. ამასთან აღვნიშნავთ, რომ შპს „საქართველოს უნივერსალურმა ჯგუფმა“ სამინისტროში დამატებით წარმოადგინა ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლესთან (2 მოსახლე) შეთანხმების შესახებ დოკუმენტაცია..
5	• კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კოდისწყაროში მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი განცხადება	რატომ არ გასცა სამინისტრომ ნებართვის გაცემის პირველ ეტაპზე საწარმოს მოსახლეობისგან მოშორებით რეკომენდაცია.	შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მიერ სამინისტროში წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში განხილული იყო არაქმედების, ტერიტორიის შერჩევის და ტექნოლოგიური ალტერნატივები. სკოპინგის პროცედურის შედეგად სკოპინგის დასკვნაში სამინისტრომ საქმიანობის განმახორციელებელს განუსაზღვრა გზშ-ის ეტაპზე წარმოედგინა საწარმოს განთავსების ალტერნატივები და შერჩეული ალტერნატივის დასაბუთება. სამინისტროს მოთხოვნის თანახმად კომპანიამ გზშ-ის ანგარიშში წარმოადგინა ინფორმაცია, რომ პროექტი ხორციელდება „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „ახალი საწარმოები გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში“, რომელიც მიზნად ისახავს ახალი საწარმოების დაფინანსებას და ინოვაციურ სიახლეებზე ორიენტირებული ბიზნესების წამოწყებას საოკუპაციო გამყოფი ზოლის (აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი) მიმდებარე სოფლებში. კომპანიის მიერ ტერიტორიის შერჩევა განხორციელდა პროექტის სავალდებულო პირობიდან გამომდინარე (გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლები). ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში განხილულია პროექტის არაქმედების და საწარმოს განთავსების სამი ალტერნატიული ვარიანტი, რომლებიც მდებარეობს სასაზღვრო ზოლის მიმდებარედ. ალტერნატივების

			შერჩევის ეტაპზე ყურადღება გამახვილდა ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც დააკმაყოფილებდა საწარმოს ექსპლუატაციისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ელექტრომომარაგების არსებობა, ცენტრალურ მაგისტრალთან სიახლოვე, მისასვლელი გზების არსებობა, შენობა-ნაგებობის არსებობა და სხვა. აღნიშნული კომუნიკაციების მოწყობა დამატებით გამოიწვევდა გარემოზე ზემოქმედებას. შესაბამისად, საპროექტო საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტების შეფასების შედეგად შეირჩა ტერიტორია, სადაც ჩამოთვლილი კომუნიკაციები უკვე არსებობს და ამ მიმართულებით დამატებით გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6	• კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კოდისწყაროში მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი განცხადება	გზშ-ის პროცედურის და შესაბამისი ნებართვის გარეშე კომპანიის მიერ მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რომელიც თითქმის დასრულებულია.	იხ. პირველ შენიშვნაზე სამინისტროს პასუხი